საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/6257
20/10/2022

6257-21-2-202210201654

შპს „აისს“
მის: ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი,
დიდუბის დასახლების ქ. #13,შენობა N1
ელ. ფოსტა: tmatitashvili@ais-georgia.ge;
ntevdorashvili@ais-georgia.ge.

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №4509 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, მდ. ფარავანსა და მდ. კორხზე 9.1 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ახალქალაქი ჰესის“ (ახალქალაქი 1 და ახალქალაქი 2), 35 კვ. ქვესადგურის და ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადების თანახმად, გამომდინარე იქიდან, რომ სათავე ნაგებობის ძირითადი კონსტრუქციული ნაწილი უკვე აშენებულია, აუზებიანი თევზსავალის ბუნებრივ პირობებთან მიახლოებული თევზსავალი არხით შეცვლა სათავე ნაგებობის პარამეტრების ცვლილებას არ გამოიწვევს და როგორც აღინიშნა თევზსავალის ახალი პროექტი შეთავსებული იქნება არსებულ რეალობასთან. წარმოდგენილი Shp ფაილების გადამოწმებით დგინდება, რომ სათავე ნაგებობის ადგილმდებარეობა შეცვლილია, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს სათავე ნაგებობის მიმდებარედ გათვალისწინებული ნაპირსამაგრი ნაგებობის Shp ფაილები;
- დაზუსტებას საჭიროებს მშრალი ხევის გადაკვეთაზე გათვალისწინებული წყალგამტარ ნაგებობასთან მოსაწყობი ნაპირსამაგრი ნაგებობის GPS კოორდინატები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული

შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო